№ 80
შაბათი, 15 აპრილი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 80
შაბათი, 15 აპრილი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 22

---

კვირას, 16 აპრილს, ვანქის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

## კნ. ქეთევან რევაზის ასულის გურამიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც შვილნი მისნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა. წირვა დაიწყება დილის 11 საათზედ.
(2—97—1)

---

**ქვრივი ანასტასია ჯანდიერი ქმრითა და შვილებითურთ** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა თვისის მამიდისას, გაბრიელ გედევანიშვილის ქვრივის

## ბარბარე ილარიონის ასულის გედევანიშვილისას

მიცვალებულის გვამი გასვენებულ იქნება დღეს, შაბათს, 15 აპრილს, დილის 10 საათზედ, სამების ეკკლესიაში ბარიატინსკის ქუჩიდგან (სახლი № 4) წირვისა და ანდერძის გარდასახდელად, ხოლო აქედგან წაასვენებენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ დასაკრძალავად.
(1—98—1)

---

**ქვრივი მარიამ ივანეს ასული** და **თავ. ნიკოლოზ ვასილის ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვები** და **ელისაბედ სერგეის ძე მირზოევისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა

## გრიგოლ ივანეს ძის მირზოევისას.

პანაშვიდი შაბათს იქმნება გარდახდილი, საღამოს 7 საათზედ. კვირას, 16 აპრილს, დილის 10 საათზედ გვამს ვანქის ეკკლესიაში გაასვენებენ.

დაასაფლავებენ მიცვალებულის გვამს ტფილისის მაზრის სოფელ თელეთში.
(1—99—1)

---

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ" განზრახულია გაიმართოს მაისის 6 და 7-ში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულ ს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

---

## ტფილისის საკომერციო სასწავლებლისაგან.

მისაღები ეგზამენები იქმნება 25-დგან 28 აპრილამდე, დილის 9 საათზედ, სასწავლებლის შენობაში. იმათ, რომელთაც თხოვნასთან ერთად ჯეროვანი საბუთის ქაღალდები არ წარმოუდგენიათ, ვთხოვთ იზრუნონ მათდა წარმოსადგენად 22 აპრილისათვის.
(8—6.—1)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**გ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სალოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

---

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: კოლეჟსკი რეგისტრატორობა სოხუმის ოლქის სამმართველოს თარჯიმანის თანამდებობის აღმასრულებელს კობახიძეს; გუბერნსკი სეკრეტრობა—ტოპოგრაფის თანამდებობის აღმასრულებელს ხედგინიძეს.

---

# ფელეტონი

### უცხოთა შორის

სამხრეთ-აფრიკის ომი და ინგლისის მაღალი საზოგადოება.—ლორდთა პალატა.—გაველურებული ლორდი და მეარღნე.—მომავალი ლორდი და ლორდთა პალატის წევრი.—ქმარი სამის ცოლისა და შეერთებულ შტატების პარლამენტი.—უცნაური პროექტი ხალხის გამრავლებისა.—მეოცე საუკუნის ადამ და ევა.

ინგლისელნი ხელ-ახლა ფიქრსა და საგონებელს მიეცნენ: ეს ერთი თვე იქნება თითქმის, რაც სამხრეთ აფრიკიდგან არა სანუგეშო ამბები მოსდით; ხელ-ახლა აუარებელი ხალხი იკრიბება თურმე სამხედრო სამინისტროს შენობის წინ ბრძოლის ველზედ მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა სიების გადასათვალიერებლად. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამ სიების გადაკითხვის შემდეგ არა ერთი და ორი დაბრუნდება შინ დაღონებული და დამწუხრებული.

ყველაზედ მეტ უნუგეშო ამბებს ამ სიებიდგან ინგლისის მაღალის საზოგადოების წევრნი იგებენ—წარჩინებული ჰერცოგები, მარკიზები, ბარონები და სხვანი. ძნელად მოიპოვება თურმე ამ ჟამად ჰერცოგის, მარკიზის ან ბარონის ისეთი ოჯახი, რომლის ერთი წევრი მაინც არ ემსხვერპლოს ამ ომს. ბურები თავიანთ მარჯვე ტყვიას უმთავრესად ინგლისელ აფიცრებს უმიზნებენ, ხოლო უმრავლესობა აფიცრებისა მაღალ საზოგადოებას ეკუთვნიან. ამბობენ, ლორდთა პალატის წევრნი მოუთმენლად მოელიან ტრანსვაალის საბოლოოდ დაპყრობას, რომ შემდეგ მაინც შეძლება მიეცეთ ამდენ ნათესავების ამოწყვეტისათვის ბურების ჯავრი ამოიყარონ.

ესეც კია, ლორდთა პალატის წევრნი არასოდეს მოწყალე თვალით არ უყურებდნენ ბურებს. თუ ქვედა ან საზოგადოებათა პალატაში კიდევ მოიპოვება ორი-სამი კაცი ბურების მომხრე და იმათ რესპუბლიკის შემოერთების წინააღმდეგი, ზემო პალატაში სანთლითაც ვერ იპოვნით ასეთს.

* * *

ინგლისის დღევანდელი ლორდთა პალატა 565 წევრისაგან შესდგება, ამათგან 5 პრინცია, 2 მთავარ-ეპისკოპოსი, 21 ჰერცოგი, 22 მარკიზი, 117 გრაფი, 27 ვიკონტი, 24 ეპისკოპოსი, 305 ბარონი, 16 შოტლანდიელი და 28 ირლანდიელი პერი და ათიც სხვა პერი, რომელთაც „თავიანთი საკუთარი უფლებანი აქვთ მინიჭებული".

ძალიან შემცდარია ის, ვისაც ჰგონია, რომ ეს წარჩინებული ლორდები ერთ კარ-ჩაკეტილ, ძველის, ფეოდალურ ტრადიციებით გატაცებულ წრეს წარმოადგენენო. 1621 წელს, როდესაც ლორდი სპენსერი პირველად ზემო პალატაში შეიყვანეს, ერთმა წევრმა ასეთის სიტყვებით მიჰმართა ლორდის ხარისხით ახლად დაჯილდოვებულს:

— მილორდ, ეჭვი არ არის, თქვენი წინაპარნი ცხვრებსა მწყემსავდნენ იმ დროს, როდესაც ის ამბები მოხდა, რასაც ეხლა აქ მოისმენთ.

— მილორდ,—გააწყვეტინა ლორდმა სპენსერმა,—როდესაც ჩემი წინაპარნი ცხვრებსა მწყემსავდნენ, თქვენი წინაპარნი სარჩობელაზედ მიჰყავდათ სახელმწიფოს ღალატისათვის.

ასეთ სიტყვა პასუხს დღევანდელ პალატაში ვეღარ გაიგონებთ, რადგანაც ახალმა დრომ ამ მარკიზებსა და ბარონებსაც დაჰბერა ახალი სიო და კარგა ხანია ძველ საგვარეულო ქაღალდებში ჩხრეკაზედ ხელი აიღებინა. უმრავლესობა ამ ლორდებისა ბირჟის მომქმედნი, ქარხნებისა, მადნებისა და სავაჭრო ფირმების პატრონნი არიან, ამიტომ ყველაზე მეტ ყურადღებას დღეს ფულის მოგებას აქცევენ, ვიდრე სხვა რამეს. როდესაც სამინისტრომ შეიმუშავა ახალი კანონი იმის შესახებ, რომ ბავშვებს მაღაროებში მუშაობა აეკრძალოთ, მდიდარის მადნების პატრონმა ლორდმა ლონდონდერიმ ერთი ალიაქოთი ასტეხა. აი, რა განაცხადა ამ წარჩინებულმა ლორდმა პარლამენტში:

— ამბობენ, მაღაროებში ცუდი ჰაერიაო! რა სისულელეა! ვინც-კი ერთხელ მაინც ყოფილა მაღაროში, ადვილად შეამჩნევდა, რამდენი ცხოველები და მწერები სცხოვრობენ იქ: თაგვები, ჭრიჭინები, ჭიები და სხვანი. ცუდი ჰაერი რომ იყოს, ნუ-თუ ეს ცხოველები და მწერები, რომელთაც ძალას არავინ ატანს, დადგებოდნენ იქ?

მდიდარ მემამულეთა უმრავლესობასაც ინგლისში ლორდები შეადგენენ. არტურ არნოლდის გამოანგარიშებით ლორდებს ინგლისისა და ირლანდიის მიწა-ადგილის მეოთხედი ეკუთვნით. თუ რა დიდძალის მამულის პატრონნი არიან ლორდები, შემდეგიდგანა სჩანს. ჰერცოგს ვესტმინსტერს იმ მიწა-ადგილის მეოთხედი ეკუთვნის, სადაც ლონდონია გაშენებული, და ამას გარდა 19 ათასი აკრი *) კიდევ სხვა ადგილიც აქვს ინგლისში. მარტო ლონდონის მიწებიდგან (უშენობებოდ) ჰერცოგს წელიწადში ორი მილიონი მანეთი აქვს შემოსავალი. ამ ჰერცოგის წინაპარი ვინმე დევისი იყო, ვექილი, რომელიც მე-17 საუკუნეში სცხოვრობდა. 1666 წელს ლონდონში შავი ჭირი გაჩნდა, რის გამო მრავალი მცხოვრები გაიხიზნა ქალაქიდგან. წასვლის დროს ბევრმა თავისი ნასყიდობის ქაღალდები დევის გადასცა შესანახად. ამათგანი ბევრი დაიღუპა შავის ჭირისაგან და ამ რიგად დევისი მდი-

---

*) აკრი 889 ოთხ-კუთხი საჟენია, თითქმის ჩვენებურ ქცევას უდრის. ქცევა 900 ოთხ-კუთხი საჟენია.

# ახალი ამბავი

—

⁂ როგორც გვატყობინებენ, მთავრობის მიერ ნება-დართულ იქმნა, რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ გამართოს წელს სხვა-და-სხვა სოფლებსა და ქალაქებში სამეტოქეო გამოფენები მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობისა. სხვათა შორის ასეთი გამოფენა გაიმართება: თელავსა, ზაქათალასა, გორსა, ქუთაისსა, სამტრედიასა, ზუგდიდსა და ოზურგეთში; მეფუტკრეობის ნაწარმოების გამოფენა გაიმართება კიდევ ნაგომარსა და ყვირილაში. გამართულ გამოფენაში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ მევენახეთ, ხოლო ნაგომარში-კი მებაღეთაც.

⁂ 12 აპრილს შეერთებული კრება ჰქონდა ქალაქის გამგეობასა და საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც ქუჩების მოკირწყვლის საქმე აქვს მინდობილი. ამ კრებაზედ გამგეობასა და კომისიას იმ ფულის შესახებ ჰქონდა მოლაპარაკება, რომელიც ქალაქმა, ახალის ხელ-შეკრულობის ძალით, ცხენის რკინის გზათა უსახელო საზოგადოებისაგან უნდა მიიღოს ქუჩების მოსაკირწყლავად. როგორც ვუწყით, უსახელო საზოგადოებამ იკისრა მისცეს წინდაწინვე ქალაქს იმ ფულის ანგარიშში, რაც ამ უკანასკნელს საზოგადოებისაგან ერგება, 500 ათასი მანეთი, ან კიდევ ასესხოს 600 ათასი მანეთი იმ პირობით, რომ 4% სარგებელი აძლიოს და 2% ვალში. კრებამ თუმცა ეს უკანასკნელი პირობა უფრო გამოსადეგადა სცნო, მაგრამ გადაჭრით მაინც ვერ გადასწყვიტა და შემდეგ სხდომისათვის გადასდო ამ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა. ეს კრება გუშინ, 14 აპრილს, უნდა მომხდარიყო.

⁂ თელავის თვითმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ქ. თელავს დაეთმოს ის წყაროები, რომელიც თელავის სახაზინო აგარაკშია, და რომლებიდგანაც აზრადა აქვთ მილით გაიყვანონ წყალი ქალაქში. ამ შუამდგომლობას თანაგრძნობით მიჰგებებია ტფილისის საგუბერნიო მმართველობა.

⁂ ტფილისის ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი კრება ორშაბათს, 17 აპრილს მოხდება.

⁂ შარშან ღ. ხონსა, ახალ-სენაკსა და ოზურგეთში გაიმართა გამოფენა-კონკურსები მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის ნაწარმოებისა. ამ გამოფენებში მონაწილეობა მიიღო 150-მდე კაცმა. ამათში დაჯილდოვებულ იქმნა 91 კაცი:

ვერცხლის მედლით:

გოგოლაშვილი მარიამ პავლეს ასული; გურიის ამხანაგობა „შუამავალი“; რამიშვილი პანტელეიმონ (სამინ. მედალი), წულაძე აპოლონი (საბაღ. საზ. კავკ. განყოფილების მედ.)

ბრინჯაოს მედლით.

კნიაჟნა მაღალაშვილისა სოფიო ესტატეს ასული.

(მიიღო ქების ფურცლები და სხვა და სხვა მანქანები.)

კნ. ჩხეიძე მ. კალანდარიშვილი ტრიფონი, ჯორბენაძე სიმონ გაბრიელის ძე, გეთია ვასილ ბურდღეს ძე; ჩაჩავა მარიამ ანდრიას ასული; ქუთათელაძე ემილია ათანასეს ასული; დევიძე ატატო; ფოცხვერია ანასტასია; მუშკუდიანი გიორგი, გოროზია ეკატერინე; აქირთავა სალომე; გრიგოლია ნინა ბესარიონის ასული.

სასწავლებლებს, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ტფილისში გამართულ სამეცნიერო სამეურნეო გამოფენაში, მიეცათ საერო ჯილდო:

მეორე ხარისხის დიპლომი:

ოზურგეთის სამოქ. სასწ. სამეურნეო განყოფილებას.

მესამე ხარისხისა

ახალ სენაკის ნორმალურ სკოლას, მარანის 2 კლას. სკოლას, ბახვის 2 კლ. ს. სკოლას, საჩხერის ერთ კლ. სკოლას.

მეოთხე ხარისხისა

თამაკონის 2 კლ. სკოლას, სენაკის მაზ. დიდი ჯიხაიშის 2 კლ. სკოლას, ძველი სენაკის საამნაურო სკოლას, ხორვის 2 კლ. სკოლას, ხეთის 2 კლ. სკოლას, ღანირის და სალხინოს სკოლებს.

მეხუთე ხარისხისა

ქვალონის და ნიგოითის 2 კლ. სკოლას. დანარჩენს დაურიგდებათ ქების ფურცლები.

⁂ ბ-ნ ტფილისის გუბერნატორისთვის საჩივარი მიურთმევიათ ტფილისის ტვირთის მზიდავ მეეტლეებს იმის შესახებ, რომ 12 მარტს უწესოდ იქმნა ჩვენი უსტაბაში არჩეული. ამის გამო ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს მოუთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის განმარტება ამ საქმისა.

⁂ როგორც „ტფ. ფურცელს“ გაუგონია, მიწად მოქმედების სამინისტროს ჯერ არ გადაუწყვეტია სოფ. ოძისში თავ. ერისთავის მიერ ნაჩუქარ მამულში სასოფლო სამეურნეო სკოლის დაარსება და ამ საქმის განხორციელება იმ დროისთვის გადაუდვია, სანამ სკოლის შესანახად წყაროს არ გამონახავს. სამინისტროს მიუმართავს სათანადო დაწესებულებისათვის და უთხოვნია, რომ ხსენებული სკოლის შესანახად ფული საერობო თანხიდგან იქმნას გადადებული. სანამ ეს საგანი საბოლოოდ გარდასწყდებოდეს და აგრეთვე მამულის შემოსავალი გამოირკვევოდეს, ხსენებულ მამულის გამგეობა მიუნდვიათ აგრონომ თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისათვის.

⁂ რედაქციამ მიიღო ბ ნ მურიეს ფრანგულ ჟურნალის „Le Caucase Illustre“-ს მესამე ნომერი. ამ ნომერში, სხვათა შორის, მოთავსებულია: თ. ილია ჭავჭავაძის პოემის „განდეგილის“ დასაწყისი, ფრანგულ პროზად თარგმნილი, „სურამის კოშკი“ — ლეგენდა და სხვა.

⁂ ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია ორი ღუმელი გააკეთოს ქალაქის საყასბოში უწმინდურობისა და დაწუნებულ ხორცის დასაწვავად. ამ საქმისათვის გადადებულია 2700 მან.

⁂ ოფიციალურის ცნობებით, უკანასკნელ ხანებში ტფილისში წითელა გახშირდა.

⁂ ქალაქის გამგეობის სადგომში გამოკრულ იმ ახალგაზდათა სიებში, რომელნიც წელს სამხედრო ბეგარის გადასახდელად უნდა იქმნენ გაწვეულნი, არა ყოფილა შეტანილი ზოგიერთა ახალგაზდების გვარები. გამგეობა უკვე შესდგომია ამ სიების შესწორებას.

⁂ „ტფ. ფურც.“ სიტყვით, ფინანსთა სამინისტროს განუმარტავს ამ დღეებში, რომ თამასუქით ფულის გასესხება სასარგებლოდ, ვისაც ხელობად გაუხდია ეს საქმე, საბანკო ხელობად უნდა ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, ეს ერთად-ერთს ხელობას წარმოადგენს ფულის გამსესხებლისათვის, თუ არა, და პირველ ჯგუფის სავაჭრო დაწესებულებისთვის დადებული სამრეწველო გადასახადი უნდა დაედვასო.

⁂ ს. ფხოველი, (უგანა მხარი, სიღნაღ. მაზრა). 3 აპრილს, ღამით, როდესაც ის იყო ლამპარი ჩაქრო აქაურის მღვდლის იოსებ ახალშენიშვილის ოჯახობასა და საძილოდ გამზადებულიყვნენ, ორი შეიარაღებული კაცი გომში შესცვივნოდნენ მოსამსახურე ბიჭსა დადასდგომოდნენ ბრდანვით და ხანჯლით, გინდა თუ არა, გვითხარი, სადა აქვს მღვდელს შენახული ფული, ან რომელ ოთახში სძინავთო. ბიჭს ფულისა-კი ვერა ეთქვა-რა, მაგრამ როდესაც სახლის დერეფანზედ აეთრიათ, ეთქვა, რომელს ოთახშიაც ეძინათ. ორთავეს პირი უბაღლახით ჰქონდათ ახვეული, — ალბად იმისთვის, რომ არავინ გვიცნოსო, და ერთიც სრულიად არა ლაპარაკობდა თურმე. ჩაცვივდნენ ბიჭს, მღვდელს დაუძახე და გარეთ გამოვასო. ბიჭს ეს არ ექმნა და ტირილი დაეწყო. მაშინ თითონ დაერახუნებინათ კარები. მღვდელსა და მისს სახლობას ჯერ თურმე არ ეძინათ და მაშინათვე ხმა მისცეს; კიდევ დაარახუნეს და ამ ჟამად უფრო ძლიერად. მაშინ დაუძახნა მღვდელს, ვინა ხარ, მოიცადეთ, ჩავიცვამ და გამოვალო. მაგრამ მღვდლისა და მისის ოჯახობის საბედნიეროდ, მღვდელს ბედნიერმა აზრმა გაუელვა თურმე, ჩაიცვა ტანთ და იმის მაგივრად, რომ პირდაპირ გასულიყო კარიდგან, მოუარა და გვერდით კედელში გამოჭრილ ფანჯრიდგან გადახტა და მეზობლებს მაშველად დაუძახა: არიქა, გვიშველეთ, ყაჩაღები დაგვესხნენ! ყაჩაღებსაც მეტი არ უნდოდათ; იფიქრეს, არიქა მეზობლებმა გაიგეს და გვეშველებიანო და გაიქცნენ. გადარჩნენ ასე შემთხვევით გაძარცვისა და დაწიოკებას, მაგრამ ეჭვი არ არის, მხოლოდ დროებით, რადგანაც, როგორც უკანასკნელ დროის გარემოებანი ამტკიცებენ, უთუოდ ჩამტერებული ვინმე ჰყავს მახლობლად და შეიძლება კვლავ გაიმეორონ ეს თავხედი ცდა გაძარცვისა, თუ ადგილობრივმა პოლიციამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია. შემოდგომაზედ ორი მშვენიერი ცხენი მოჰპარეს, ახლა გაძარცვა და კლება დაუპირეს; ეს განა საკმაო საბუთი არ არის, რომ პოლიცია გულდით მოეკიდოს საქმესა?

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ქახი,** (საინგილო), ერთის ვერსის მანძილზედ ს. კახიდგან მდ. ქურმუხ-ჩაიზედ იმართება ხოლმე უძველ ოთხშაბათობით ბაზრობა, რომელსაც ინგილოები „ავთა-ბაზარს“ ეძახიან. თათრულად ეს სიტყვა ნიშნავს „სავარაო ბაზარს“. „ავთა-ბაზარი“ იმართება შემოდგომის ბოლოს და თავდება ზაფხულის დამდეგამდე. დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი სიხარულით მოელის „ავთა-ბაზრობის“ დაწყებას, იმიტომ, რომ ვისაც გასასყიდი აქვს რამე, მაშინ ჰყიდის და ვისაც არაფერი აბადია, იმისაც ღონისძიება ეძლევა „ავთა-ბაზარში“ უკველივე სანოვაგე ნახევარ ფასად იყიდოს, რადგანაც იქ უფრო კლებისფერი მრავალია

---

დარ მემამულედ გარდაიქცა. ლორდ სალისბიურის ეკუთვნის ლონდონის ერთი ნაწილი და 20 ათასი აკრი მიწა; ჰერცოგს ბედვორდს — 85 აკრი მიწა და აგრეთვე ლონდონის ერთი ნაწილი, ზომით 1 ოთხ-კუთხი ვერსტი, ჰერცოგს სუტერლენდს — 1,208,000 აკრი მიწა. ეს ჰერცოგი რამდენიმე წელიწადია კარგის ჯიშის ცხვრების გაშენებას შეუდგა, ამისთვის ჰერცოგმა 10 წლის განმავლობაში თავისს ადგილებიდგან 15 ათასი ფერმერი გადაასახლა, იმათი სახლები დაანგრია და ყანები საძოვარ მინდვრებად გადააქცია.

***

ლორდთა შორის ბევრნი არიან ისეთნი, რომელთაც უცნაურის ცხოვრებით მთელს ინგლისში გაითქვეს სახელი. ლორდმა პორტლენმა (ამ რამდენისამე ხნის წინად გარდაიცვალა) მიწაში მთელი სასახლე გამოათხრევინა, საუცხოვოდ მორთო ეს სასახლე და თვეობით იქ განცხრომას ეძლეოდა. ლორდთა პალატის წევრი გრაფი კეპტნერი რამდენიმე წელიწადი ტეხასში (ამერიკაში) მწყემსად იყო. 30 წელიწადზედ მეტი იქნება, რაც ლორდთა პალატაში აღარავის უნახავს ბარონი გარდნერი, ინგლისის ერთის ძველის გვარეულობის წარმომადგენელი. ამ ლორდმა მთელი დედამიწა მოიარა, ბოლოს ბრაზილიაში ველურთა შორის დაიდო ბინა და ველურ ცხოვრებას შეუდგა. როგორც ამბობენ, გარდნერი ამ ჟამად ინდიელთა ერთის ტომის წინამძღოლია.

მაგრამ მალე ლორდთა პალატაში ყველაზედ მეტ ყურადღებას მიიქცევს მომავალი გრაფი პაულეტი, დღეს ვიკონტ გინტონად ცნობილი. ამ სამის წლის წინად კაცი ხშირად შეჰხვდებოდა ლონდონის ქუჩებში ესე 45 წლის მეარღნეს. ეს გახლდათ ვიკონტ გინტონი, პარლამენტის მომავალი წევრი. არღანზედ გინტონს შემდეგი წარწერა ჰქონდა: „ქალბატონებო და ბატონებო! მე ვიკონტ გინტონი ვარ, უფროსი შვილი ლორდ პაულეტისა, მამის მიერ სახლიდგან გამოგდებული. არღანს იმიტომ მოვკიდე ხელი, რომ თავისს შენახვა სხვა არავითარ პატიოსნურ ხელობით არ შემიძლიან“.

მამა ამ მეარღნესი ახალგაზდობაში აფიცრად იყო. ერთხელ ამხანაგებთან ერთად ახალგაზდა აფიცერი საუტგამპტონის ერთ რესტორანში დროს ატარებდა. შექეიფიანებულმა პაულეტმა სანაძლეო დაუდო ამხანაგებს, რომ იმ ქალს შევირთავ ცოლად, რომელიც პირველი გაივლის ფანჯრის წინაო. გაუვლია ამ დროს ერთის ღარიბის ზღვაოსანის ქალს. აფიცერს შეურთავს იგი, სანაძლეო მიუღია და ირლანდიაში წასულა მაგრამ ხუთის თვის შემდეგ მეუღლენი განშორებიან ერთმანეთს, ხოლო ორის თვის შემდეგ ცოლს შვილი გასჩენია. მალე ახალგაზდა აფიცერი ორის ნათესავის სიკვდილის წყალობით ლორდ პაულეტად გამხდარა და დიდის ქონების მემკვიდრედ შექმნილა. პირველ ხანს პაულეტი თავისს ცოლსა და შვილს ფულს უგზავნიდა, მაგრამ ცოლის სიკვდილის შემდეგ გრაფს ესეც მოუსპია, შვილი სრულიად უპატრონოდ მიუგდია და მეორე ცოლი შეურთავს. 18 წლის გინტონი ჯერ ერთ ყავახანის სცენაზედ შესულა, შემდეგ მოცეკვავე ქალი შეურთავს და იმასთან ერთად, ნახევრად მშიერმწყურვალი, დაწანწალებდა ქალაქებში.

ამ ხუთის თვის წინად გარდაიცვალა გრაფი პაულეტი. კანონის ძალით მემკვიდრედ პირველი შვილი უნდა ჩაითვალოს, მაგრამ გრაფი ანდერძში მემკვიდრედ მეორე ცოლისაგან ნაყოლ შვილს ასახელებს, გინტონი უკანონო შვილია ჩემიო, ნათქვამია ანდერძში. გაიგო რა ეს ამბავი, ვიკონტ გინტონმა საჩივარი აღძრა. სასამართლოს ჯერ არ განუხილავს ეს საქმე. აღმოჩნდნენ ისეთი კაცები, რომელთაც ვიკონტს ფული მისცეს და მფარველობა გაუწიეს. ყველა მოუთმენლად მოელის ამ საქმის დასრულებას. მომავალის ლორდის არღანი ამ ჟამად ლონდონის ერთ-ერთ მუზეიში ინახება თურმე.

***

ერთი უცნაური წევრი ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესსაც აღმოუჩნდა. ეს წევრი გახლავთ ქმარი სამის ცოლისა ვინმე ბრაგამ რობერტსი, შტატის უტის მიერ კონგრესის დეპუტატად არჩეული. სწორედ ეს სამ-ცოლიანობა იყო იმ ალიაქოთისა და აურ ზაურის მიზეზი, რომელიც ამას წინად შეერთებულ შტატების კონგრესის ერთ კრებაზედ ასტყდა და რომლის გამოც კონგრესმა რობერტსი დეპუტატად არა სცნო და განდევნა.

რობერტსი მარმონთა სექტას ეკუთვნის. ეს სექტა 1830 წელს დააარსა ჯოზეფ სმიტმა. დამაარსებელმა საფუძვლად თავის მოძღვრებას მრავალ-ცოლობა დაუდვა. ამ მოძღვრების ძალით, კეთილ-მორწმუნე კაცად მარტო ის ითვლება და საიქიოსაც სამოთხის კარი მარტო იმას გაეღება, ვისაც რამდენიმე ცოლი ეყოლება. მთავრობამ 1896 წელს მარმონების ასალაგმავად განსაკუთრებული კანონი გამოსცა, რომლითაც მრავალ-ცოლიანობა აკრძალა. მაგრამ ამისდა მიუხედავად სექტა საოცარის სისწრაფით ვრცელდებოდა, და დღეს უტის შტატის უმრავლესობას თითქმის მარმონები შეადგენენ. ბოლოს მარმონები იქამდის გათამამდნენ, რომ შტატის უტის დეპუტატად რესპუბლიკის საკავშირო კონგრესში თავიანთი კაცი-კი აარჩიეს — ბრაგამ რობერტსი.

ამ ამბავმა მთელი ამერიკა აალაპარაკა. გაზეთებმა ერთხმად გაჰკიცხეს შტატი უტი ასეთის დეპუტატის არჩევისათვის; ამერიკელმა ქალებმა ხომ ერთი ბუკი და ნაღარა დაჰკრეს: კონგრეს სახელმწიფოს ყველა კუთხიდგან პეტიცია პეტიციაზე მოსდიოდა, რომლებშიაც ქალები აცხადებდნენ, რომ რობერტსის პარლამენტის წევრად არჩევა მთელის კაცობრიობისა და აწინდელის ცივილიზაციის დამცირებააო, და ურჩევდნენ კონგრესს ამ მრავალ-ცოლიანის განდევნას. კონგრესის წევრებმა ადრევე გადასწყვიტეს, რომ რობერტსი დეპუტატად არ ეცნოთ, მაგრამ არ იცოდნენ, როგორ მოეგვარებინათ ეს საქმე. კანონში წინდახედული არ არის ასეთი შემთხვევა, არაა, მაგალითად, ნათქვამი, რომ მრავალ ცოლიანს არ შეუძლიან პალატის

და იავი. მშვენიერს სურათს წარმოადგენს „ავთა-ბაზრობა“: დილიდგან საღამომდე კუდ-ბაწარასავით გაბმული ხალხი ზოგი მიერეკება და ზოგიც მოერეკება დატვირთულ ურმებს, დატვირთულ ხურჯინებსა და გუდებს მრავალგვარის საქონლით. გასასყიდი სასმელ-საჭმელი მარტო კახიდგან კი არ მიდის „ავთა-ბაზარში“, არამედ ახლო სოფლებიდგანაც: მალალი, შილაყუშგი, ამბარჩი, ალიშეგლო, ურალანი, ქოთოქლო, სოსკანი და ნუხის მაზრიდგანაც იქ მიდის ხალხი. ყველა სცდილობს თავისი საქონელი მალე გაჰყიდოს და დროზედ დაბრუნდეს შინ. „ავთა-ბაზრობის“ დღეს იკვლის 20—40 მსხვილ-ფეხი საქონელი, მაგრამ ვისიც პირ და პირი მოვალეობაა ფიქრადაც არ მოსდის, რომ წავიდეს ერთხელ მაინც „ავთა-ბაზარში“ და დაათვალიეროს, რა ხარისხის საქონელი იყიდება იქ და ან ავადმყოფს და უსულოდ საქონლის ხორცს ხომ არ ასაღებენ ხალხზედ. ამ უყურადღებობით სარგებლობენ გამყიდველნი და ზოგჯერ უსულოდ საქონლის ხორცს მიართმევენ ხოლმე იმათაც, რომლებმაც უნდა თვალ-ყური ადევნონ ამ გარემოებას და სრულიად აღუკრძალონ ვაჭრობა დამნაშავეთ.

ეს ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ რაღა დავაშავეთ? ზოგჯერ იმისთანა ხორცს მოგვყიდიან ხოლმე, რომ მთელი დღე ვხარშავთ და ხარშვა არ ეკიდება.

მე ჩემის თვალით ვნახე ერთი შემთხვევა: ერთს გლეხს ურემი მიჰქონდა, ხარი წაექცა და ვიდრე დანას მიაშველებდნენ, მოკვდა. გლეხმა მაინც ყელი გამოსჭრა. ხარს ფეხიც არ გაუქნევია და ცვარი სისხლიც არ გამოსვლია. გამაკვირვა ამ კაცის საქციელმა და შევეკითხე: რად გინდა, რომ მკვდარ ხარს ყელსა სჭრი მეთქი? მუშებისთვის მანდაო, მიპასუხა მან. განა მუშები უსულოდო ხორცსა სჭამენ მეთქი? შევეკითხე. ვინ დაგიდევს, დალოცვილო, უსულოდოა თუ სულიანიო —მიპასუხა. ამ ლაპარაკის დროს ერთი მგზავრიც წამოგვეწიო. „რა მოგსვლია ჭკვა-მამად“?—ჰკითხა მგზავრმა, ხარი მომიკვდაო,—უპასუხა დაღონებულმა გლეხმა. ნუ დამიღონდები, ანუგეშა გლეხი მგზავრმა,—ხვალ „ავთა-ბაზრობაა“, დაუდე ურემზედ, წაიღე და იქ გაასაღეო. დაუდეს ურემზედ ეს უსულოდო ლეში ხარისა და შინისაკენ წაიღეს. ეჭვი არ არის, გლეხი ამ უსულოდო ხარის ხორცს ან „ავთა-ბაზარში“ წაიღებდა გასასყიდად და ან თითონ შესჭამდა.

წრეულს „ავთა ბაზარში“ სანოვაგე ისე იაფად არ იყიდება, როგორც სხვა დროს ყოფილა. გარდა ამისა ყოველ მხრიდგან იწერებიან, რომ პურის მაზანდამ დაიწიაო, მაგრამ საინგილოში პურის გაიაფება არ გვეღირსა. მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში არიან, ერთს ოჯახსაც ვერ იპოვნით მთელ საინგილოში, რომ ხორბალს არ ჰყიდულობდეს. ფუთი ხორბალი 1 მ. 50 კ.—1 მ. 60 კ. არის და გამომცხვარი გირვანქა 4 კაპეიკად. მეპურეები სარგებლობენ ამ შემთხვევით და გამოუშვამ სიმინდ-ფეტვ ნარევ გაუცრელ ფქვილის პურით ჰკვებავენ ხალხს. ხორბალი სიღნაღიდგან და ნუხიდგან მოდის. ამისთანა პურის სიძვირე რომ სხვა ქვეყნებში იყოს, შიმშილობას დაუძახებდნენ. გამომცხვარ პურის გამყიდველნი არიან ზოგები და თათრები, რომლებსაც ობობას ქსელივით გაუბამთ ვაჭრობის მაჯი და როგორც ჰსურთ, ისე თარეშობენ მთელს საინგილოში.

გ. ფარადაშვილი

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ინგლისურ გაზეთების ცნობილი სამხედრო კორესპონდენტი უინსტონ ჩერჩილი უნუგეშო თვალით უყურებს ინგლისელების მდგომარეობას ბლუმფონტენსა და საზოგადოდ სამხრეთ-აფრიკაში. ამ კორესპონდენტმა ისე კარგად იცის საქმის ვითარება ბრძოლის ველზე, რადგან ომის გამოცხადებიდან მოყოლებული დღემდისინაც იქ ტრიალებს, რომ მისი სიტყვები ბევრად უფრო სარწმუნოა, ვიდრე ინგლისის სამხედრო მთავრობის დეპეშები. ჩერჩილი ამბობს, რომ, რადგან ორანჟელმა ბურებმა, ბლუმფონტენის აღების შემდეგ, ინგლისელებთან დადებული პირობა დაარღვიეს იარაღის დაყრის შესახებ და ისევ აღიჭურვნენ ჩვენს წინააღმდეგ, აქედგან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ომი დიდს ხანს გასტანსო. მე სასოწარკვეთილი არა ვარო,—განაგრძობს ჩერჩილი,—მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ დიდძალი ჯარი დაგვჭირდება, რათა ომი ჩვენს სასარგებლოდ გათავდესო. ჩერჩილი დიდს ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ინგლისის ჯარს კარგი ცხენები აღარ ჰყავს და საზოგადოდ დიდს ნაკლულევანებას ჰგრძნობს ცხენების მხრივ. ცხენოსანი ჯარის კაცები ამ ჟამად მუდამ იმას სჩივიან თურმე, რომ ცხენები აღარ გვყავსო და ეს ნაკლულევანება რომ ხელს არ გვიშლიდეს, უფრო მეტის გაკეთება შეგვეძლოვო. ჩერჩილი იმ აზრის არის, რომ 4—5 თვეზე ადრე ცხენოსან ჯარის მოთხოვნილებას სავსებით დაკმაყოფილება შეუძლებელია.

ხსენებულ კორესპონდენტის ასეთმა განცხადებამ, რომელსაც საქმის კარგად მცოდნე და სინიდისიერ კაცად იცნობს საზოგადოება, დიდად დააფიქრა მთელი ინგლისი. იმის და მიხედვით, რასაც ჩერჩილი ლაპარაკობს, ლორდი რობერტსი იძულებული იქნება კიდევ დიდ ხანს იჯდეს ბლუმფონტენში უმოქმედოდ.

— პრეზიდენტ კრიუგერის ცოლს ერთის კორესპონდენტისათვის უთქვამს, რომ დარწმუნებული ვარ ომი ჩქარა გათავდებაო. იმას ისიც განუცხადებია, რომ ინგლისელებმა კიდევაც რომ აიღონ პრეტორია, ბურები არც მერმეთ მოასვენებენ მათო.

ომში მონაწილეობას იღებენ თურმე ამჟამად კრიუგერის 4 შვილი, 33 შვილიშვილი და 6 სიძე. ორი მისი შვილიშვილი უკვე დაიხოცა ბრძოლაში.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ჟამად პეტერბურგშია ერთი ფრანგი მოგზაური გვარად ლ. ვიარდენი. ვიარდენს განუზრახავს ფეხით, ამასთან უფულოდ შემოიაროს მთელი დედამიწა. 4 სექტ. მბერს გამოსულა ვიარდენი გიერიდგან. მოგზაურს უკვე გაუვლია მთელი საფრანგეთი, ყოფილა ტულუზასა, ბორდოსა, ნანტსა და სხვა ქალაქებში. საფრანგეთიდგან ბელგიასა, ჰოლანდიასა და გერმანიაზედ გაუვლია და ეხლა რუსეთში მოსულა, როგორც ვთქვით, ვიარდენს თან ფული არ წაუღია, და ეხლა თავს იმით ირჩენს, რომ გზაში ჰყიდის ფოტოგრაფიულ სურათებით შემკულ ბლანკებს ღია წერილებისათვის. ერთი ფეხი ვიარდენს მოტეხილი აქვს. მოსტყდა ფეხი 1893 წელს, როდესაც ეტლის ქვეშ მოყოლილ ბავშვის გადარჩენა განიზრახა.

* * *

ამ ჟამად ამერიკაში მდინარე გუძონზედ ახალ ხიდს აკეთებენ. ეს უდიდესი იქმნება მთელ დედამიწის ზურგზედ. სიგრძე ხიდს 440 საჟენი ექმნება. აზრადა აქვთ ამ ხიდზედ მატარებლებისათვის რვა ლიანდაგი გამართონ ეხლა, შემდეგ კიდევ ათს სხვა ლიანდაგსაც მოუმატებენ. როგორც გამოანგარიშებულია, ამ ხიდს 8 მილიონი ფუთი ფოლადი მოუნდება, ხიდი 42 მილიონ მანეთად დაჯდება.

* * *

პორტ-ალლეგენში ერთი შუშის ქარხანა შესდგომია შუშის მილების კეთებას. ეს მილები გამოდგება როგორც ნავთისა და გაზის გადასაცემად, აგრეთვე ქუჩებში უსუფთაობისათვისაც. შუშის მილი თურმე ბევრად უფრო მკვიდრია რკინისაზედ და ისე მალე არა ფუჩდება, როგორც ეს უკანასკნელი. ერთ ნავთის მწარმოებელ ფირმას უკვე შეუკვეთნია რამდენისამე ასი ათას მანეთის შუშის მილები ნავთის გადასაცემად ქალაქებსა და სოფლებში.

## ქართულის სიტყვის მოყვარეთა მიმართ.

(დასასრული *)

ე

**ერდიმი**, პურის სამტკიცი საცერი, რაჭა.

ვ

**ვეფხ-აძლემი**, გარეული ცხოველია. გაზ. „კვალი“.

ზ

**ზარბაზანი**...; აგცილდეს კაცხის ზარბაზანი, ე. ი. უბედურებას გადარჩი. იმერ.

*) იხ. „ივერია“ № 79.

თ

**თარჯი**...; ხეზედ ამოჭრილი ნიშნად სამზღვარისა. იმერ.

ი

**იეფობა**, საქონლის საერთოდ ფას-დაკლებით გაყიდვა. ტფილის.

კ

**კვანტი**...;—გოცირიძისა, ე. ი. მაჩვე. იმერ.

**კატაბარდა**, მხალია, იმერ.

ლ

**ლაფერთხა**, გათლილი ჯოხი თავ ოთხად გახეთქილი საფაფე ფქვილის ამოსაკიდებლად. ლეჩხ.

**ლობიო**...;—კლდიაშვილისა, ე. ი. წყალში დალბობით გაფცქვნილი და ისე მომზადებული. იმერ.

**ლეკური**...;—კორძაიასი, ე. ი. სწრაფად მიქნევა. იმერ.

**ლარძაყინი**, გადასაკიდელი ძელი ფინის დასაკიდად, იმერ.

**ლაწაპა**, მრგვალი ტკჩის გოდორი, სასიმინდო, მხარზე დასადები. რაჭა.

**ლაკორა**, წისქვილის ხვიმირიდამ გამოსულის ხორბლის ჩასაყრელია დოლაბზედ. იმერ.

მ

**მხარ-ილლივ**... საქართვ. ისტ. თეიმურაზ ბატ.

**მიის-მოის**, წასვლა-დაბრუნება იმერ.

**მწვადი**...;—წერეთლისა, ე. ი. გრძელ და თაფლა.

**მოზვერი**...;—ციბაძისა, ე. ი. თავაშვებული. იმერ.

**მურასა**...;—ჭოტიშვილისა, ე. ი. კარგი გამომცხვარი. იმერ.

**მოლხენა**...;—კანდელაკისა, ე. ი. სიმღერითა და ღიღინით. იმერ.

**მოკიკნაძურება**, კიკნაძისებურად ბეჭის მოთლა ერთ გრძელ და შეუწყვეტელ ბაზთად. იტყვიან, მოუკიკნაძურეო იმერ.

**მათრახი**...;—ანჩაბაძისა, ე. ი. სუსხიანი და მწვავე. იმერ.

**მწევარი**...;—კახიანისა, ე. ი. დიდი და კარგი. იმერ.

**მაშქარეთი**, ფერუმარილით შეთითხნული. კახ.

**მაკრატელა**, ბალახია, ინდოურის ჭუკის საჭმელი. იმერ.

**მიკვირია**, ვისაც ყველაფერი უკვირს. იმერ.

**მინდი**, დასაფქვავის ბაჟი, ნივთად გადასახადი. იმერ.

**მემინდე**, მინდის ამღები. იმერ.

**მარანი**...;—ასათიანისა, ე. ი. კარგად გამართული, ლეჩხ.

---

წევრობა, და საქმეს ეს გარემოება აძნელებდა. ამიტომ ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ კონგრესის იმ კრებას, რომელზედაც ახლად არჩეულ დეპუტატებს ფიცი უნდა მიეღოთ.

რობერტსმა პირველი ორი ცოლი 1885 წელს შეირთო. 1889 წ. რობერტსს ორ-ცოლიანობისთვის რამდენისამე თვით საპყრობილეში დაპატიმრება მიუსაჯეს. რადგანაც კანონის ძალით ერთხელ სასჯელ გადახდილს სამართალში აღარ აძლევენ, რობერტსმა 1898 წელს თავისს უიმისოდაც მრავალ რიცხვოვან ოჯახს (ამ დროს რობერტსს თორმეტი შვილი ჰყავნდა) მესამე ცოლიც მიუმატა.

კონგრესის კრება ამ რამდენისამე ხნის წინად მოხდა. როდესაც რობერტსი შევიდა დეპუტატებითა და გარეშე მაყურებლებით სავსე დარბაზში, სტვენით და ყვირილით მიეგებნენ ახალ დეპუტატს. რობერტსმა ყურადღება არ მიაქცია ამას, ამაყად გაიარა და სკამზედ დაჯდა. კამათმა ამ საქმის გამო მთელი სამი დღე გასტანა. ილაპარაკა 21 ორატორმა და ყველამ ერთხმად მოსთხოვა კონგრესს, რობერტსი დეპუტატად არ ეცნო. სხვათა შორის ერთმა ახალგაზდა დეპუტატმა განაცხადა, რომ მრავალ-ცოლიანობა კანონით არის აკრძალული და ისეთის კაცის დეპუტატად მიღება, რომელსაც სამი ცოლი ჰყავს, კანონის დარღვევა იქნებაო. „საჭიროა ამ შემთხვევაში სასტიკად მოვიქცეთ, რადგანაც ამ სენმა საოცრად გაიდგა ფესვი,—განაგრძო ორატორმა: ლოგნის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი სამი ცოლის პატრონია, ამავე ინსტიტუტის ადმინისტრატორს შვიდი ცოლი და 39 შვილი ჰყავს. ლორენცო სნოუმ, მარმონთა ეკკლესიის საბჭოს პრეზიდენტმა, ამ 40 წლის წინად ორი ცოლი შეირთო; როდესაც უფროსი მოუკვდა, მიჰყვა და ზედი-ზედ შვიდი სხვა ცოლი კიდევ შეირთო. აი ამ ცოლების სახელებიც: სარა, ჰენრიეტა, ელეონორა, მარიამი, ფებე, მინნა და კაროლინა. არა მგონია, ბ-ნნო დეპუტატნო, ვინმემ თქვენგანმა სასიამოვნოდ ჩასთვალოს ასეთ დიდ ოჯახთან ერთად სადილის ან ვახშმის მირთმევა!“ ამ სიტყვებმა ერთი სიცილი და ხარხარი ასტეხა დარბაზში.

ბოლოს სიტყვა თვით რობერტსმა წარმოსთქვა. საზოგადოება გაკვირვებული უსმენდა თურმე, ისეთის მჭევრმეტყველობით ლაპარაკობდა და ისე მოხერხებულად უგებდა პასუხს თავისს მოწინააღმდეგეებს რობერტსი. მარმონთა მოძღვრების და მრავალცოლიანობის გასამართლებლად რობერტსმა სამღვთო წერილი, ლიუტერი, ფილოსოფოსნი, მეცნიერნი და სწავლულნი იმოწმა. მრავალი ადგილები მოიყვანა სამღვთო წერილის, ლიუტერის და ფილოსოფოსთა და მეცნიერთა თხზულებებიდგან. მაგრამ ბოლოს კონგრესმა მაინც ყურადღება არ მიაქცია ამ საბუთებს და 268 ხმის უმეტესობით 50 ხმის წინააღმდეგ რობერტსს დეპუტატობა ჩამოართვა.

* * *

იმ დროს, როდესაც ამერიკელნი ორსა და სამს ცოლს არა სჯერდებიან, ფრანგები ერთსაც ერიდებიან და ორსა და სამს ხომ ტყვია ნაკრავივით გაურბიან. მოგეხსენებათ, საფრანგეთში მოწინავე კაცები კარგა ხანია საგონებელს მიეცნენ იმის გამო, რომ ამ სახელმწიფოს მცხოვრებთა რიცხვი არამცთუ არა მატულობს, თან და თან კლებულობს კიდეც. ათას პროექტს იგონებენ იმისას, თუ როგორ და რა გვარად უნდა მოევლოს ამ ჭირს და რა ნაირად უნდა იქმნას გადარჩენილი საფრანგეთი გადაშენებისაგან. ერთი ასეთი პროექტი, სხვათა შორის, ამას წინადაც გამოუგონიათ.

ეს სამი წელიწადია პარიჟში არსებობს ერთი საზოგადოება, რომელსაც აზრად სწორედ ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზის გამოკვლევა აქვს. ამას წინად საზოგადოებას კრება ჰქონდა და ამ კრებაზედ თავმჯდომარემ წაიკითხა გამგეობის მიერ შემუშავებული პროექტი მცხოვრებთა გამრავლებისა. საზოგადოების აზრით უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ახალგაზდა კაცები ცოლებს არ ირთავენ, ხოლო ცოლიანები ყოველ საშვალებას ხმარობენ ერთ შვილზედ მეტი არ იყოლიონ, ის უთვალავი გადასახადებია, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება ხელ-მოკლე მოქალაქეებსა და სოფლის მცხოვრებთ, ამიტომ საზოგადოება თხოულობს, გადასახადები ისე იქმნას გაწერილი, რომ დიდი ნაწილი უცოლო კაცებს და იმ ცოლიანებს დააწვეს კისერზედ, რომელთაც მხოლოდ ერთი შვილი ჰყავთ, ხოლო სამის, ოთხის და მეტის შვილის პატრონნი თუ სულ არა, რამდენადმე მაინც განთავისუფლებულ იქმნენ გადასახადისაგან. პროექტის შემდგენელთ იმედი აქვთ, რომ ასეთის კანონის შემოღების შემდეგ უცოლონი ეცდებიან, გადასახადების თავიდგან ასაცილებლად, ცოლის შერთვას და ოჯახის გამრავლებას.

ამ გარდასახადების გარდა საზოგადოებას სხვა ხერხიც გამოუგონია მცხოვრებთა გასამრავლებლად. საქმე ამ შემთხვევაში მემკვიდრეობით დარჩენილ ქონებას შეეხება. პროექტით იმას, ვისაც ერთის შვილის მეტი არ ეყოლება, სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონების ორი მესამედი უნდა ჩამოერთვას და ხაზინას გადაეცეს, ვისაც მხოლოდ ორი შვილი ეყოლება—ერთი მესამედი და სხვა. პროექტის ავტორნი ამტკიცებენ, რომ ასეთ კანონს კარგი შედეგი მოჰყვებაო.

ასე სჯიან და ბაასობენ უცნაურის პროექტის ავტორნი, მაგრამ შენც დამეთანხმები მკითხველო, რომ ასეთი პროექტი საქმეს ვერ უშველის და მცხოვრებთა რიცხვს ვერ გაამრავლებს.

* * *

ამ ფელეტონის დასასრულ არ შემიძლიან მკითხველს არ გავაცნო ერთი ახლად მოვლენილი ადამი. ეს ადამი, გვარად დემერბი, ამერიკის შტატ მონტონში სცხოვრობს, ხელობით ფერმერია. დემერბს განუზრახავს თავისის ფერმის სააქაო სამოთხედ გადაქცევა, სწორედ ისეთ სამოთხედ, როგორიც დაბადებაშია აწერილი. ამ აზრით ფერმერი გულ-მოდგინედ შესდგომია ევას ძებნას თავისს სამოთხისათვის. სხვათა შორის

**მზირ ყოფა**, დარაჯობა. მზირჰყვეს იმიერ და ამიერ. მამათ ცხოვრება.

**მემთვარე**, შეპყრობილი სამთვარიოს სნეულებითა. იმერ.

ნ

**ნირი...**; ნირის შეშლა, ე. ი. გონების დაფანტვა. ქართლი.

**ნათაური**, ნაღები, თავს მორთმეული, მოხდილი, მოწინავე. იმერ.

**ნახელავი...**; გაკეთებული (ხელოვნების აზრით). იმერ.

**ნამზული**, ზამთრის სითბო, თოვლი რო დნობას დაიწყებს, იმერ.

**ნაფაშური...** ნაფაშურზე ღრიალი, გვიან მოსვლა. თბილ.

ო

**ორომი**, ცომის გუნდის გასაპრტყელებელი ფიცარი. იმერ.

რ

**რუახი**, გონება. ქუთ.

**რასი**, საკითხი. ქილილ და დამანა.

ს

**საჟამური**, საათი. ქართლი.

**ხული...** დღის სულით გაკეთება, ე. ი. ვიდრე დღეს სული უდგია, ანუ „დაღამდებოდეს. იმერ.

**სასწავლი**, სკოლა. გურია.

**საწენური**, შუა დირეზე დასარჭობი ბოძი. იმერ.

**სუთი...** ღომის დასაზელი. იმერ.

**სასირხარი**, სისხლის სამართლისა, სასირხარი საქმე.

**სროლა...**;—ქობულეთური, ე. ი. კარგი და ნიშანში ამოღებული. იმერ.

**საჭვრეტი**, სანახავი, საცქირალი, სამზირალი. საჭვრეტში წასვლა. იმერ.

**სახელავი**, გასაკეთებელი (ხელოვნების აზრით). იმერ.

**სეფეთი**. დიდი სკივრი. იმერ.

**სალამი...**;—ლორთქიფანიძისა, ე. ი. მეტად დარბაისლური და თავაზიანი. იმერ.

**საბუთი...**;—აშორდიასი, ე. ი. ყალბი. ქუთ.

**საწერელი...**; დუდკო. იმერ.

**სათუო...**; ავათმყოფის უკეთ ანუ უარესად გახდომის დრო. სათუოში გამოსვლა. იმერ.

ტ

**ტანად-დიდობა...**;—დადიშქელიანისა, ე. ი. ახოვანება იმერ.

უ

**უხელავი**, გაუკეთებელი (ხელოვნების აზრით). იმერ.

**ურიკალა**, პატარა ურემი. იმერ.

**უნდო...**; უნდონი ნივთნი. მამათ ცხოვრება.

ფ

**ფშალა...**; მხალია აგრეთვე. იმერ.

ქ

**ქურდობა...**;—მეგრული, ე, ი. მოხერხებული. იმერ.

ღ

**ღორთველა**, ღორის ხორცის სენი, წვრილ თეთრ კაკლებად მოჩინარი. ქართლი.

ყ

**ყარამანდულა**, შავი ქსოვილი საშარვლე. იმერ.

**ყანწი...**;—ბაგრატიონისა, ე. ი. დიდი და უებრო. იმერ.

**ყია-მყრალა**, მაგინებელი. იმერ.

**ყავარი ..**; კუდის გადება ყავარზე, ამპარტავნობა, გაზვიადება, გაძნელება. იმერ.

**ყურიანა**, ბათმანის ნახევარი. ლეჩხ.

**ყორღნა**, გამიჯნა, ყორღნების დადგმა. ქართ.

შ

**შეთავება**, შესრულება; შევითავე ლოცვა. იმერ.

**შელარძაყინება**, სახლის შენობის მოყრა ისე, რომ დახურვა-ღა აკლდეს. რაჭა.

**შეკირცხვა** იხ. შელარძაყინება. ლეჩხ.

**შუა-სამხარი...**; შუა სამხრის ოდენ. სიდონია დედაკაცი. ქ. ცხ. ნაწ. I.

ჩ

**ჩოტი**. ნაცრის ასაღები პაწია ნიჩაბსავით ხის იქმნება. იმერ.

**ჩოგანი**, ღომის ქაფის მოსახდელ და დასაგები, იმერ.

**ჩაჭრილა**, პატარა საწნეხელი ლეჩხ.

**ჩიტის-თავა**, მხალია. იმერ.

**ჩხიკვ-მხალა**, მხალია. იმერ.

**ჩიკანკალა**, პატარა და საწყალი. იმერ.

**ჩრია**, მჩატე. იმერ.

**ჩიბე**, ფქვილის ჩასაყრელი წისქვილში. იმერ.

**ჩამოსწვრივ**, ძირს დაყოლებით. სადა იგი არს ჩამოსწვრივ ძირი მისი. თეიმ. ბატ.

**ჩაკაჭკაჭება**, ზეპირად დასწავლა უაზროდ. ქართლ.

**ჩაბულბულება**, ზეპირად დასწავლა აზრიანად. იმერ.

ც

**ცეკა**, იხ. გორიცა. იმერ.

ძ

**ძერბალი**, ქვევრის მოსახდელი პატარა ხის ბაბის მსგავსი. ლეჩხ.

წ

**წიწვი**, ეკალი; წიწვიანი ხე გაზ. „კვალი“.

**წიგნი...**; ჯოხიას წიგნი არ უნდა, ე. ი. ისე ცხადია. იმერ.

**წევე**, ნეტა მაინც. იმერ.

**წიფხა**, ყურიანას ნახევარი, ლეჩხ.

ჭ

**ჭიჭოდ**, ხელ მოჭერით, დაზოგვით. იმერ.

ხ

**ხათრითი**, თიხის იარაღი სამკბილა და შუაზე გახვრეტილი შამფურის სატრიალებლად. იმერ.

**ხორბო**, დიდი საწნეხელი. ლეჩხ.

**ხბო...**;—მიქელაძისა, ე. ი. მრგვლად შემწვარი და შიგ ცხვარი და სხვა-და-სხვა თანდათან წვრიმალი ცხოველი. იმერ.

**ხმალი...**;—მესხისა, ე. ი. კარგად მკვეთელი. იმერ.

**ხიდი...**;—კაკას ხიდი გაიარა, ე. ი. ასავალ-დასავალი დაეკარგა. იმერ.

**ხელ-სახოცი...**;—ბოკერიასი, ე. ი. უხელსახოცობით თხმელის ფოთლის ხმარება ხელის შესაწმენდად. იმერ.

პეტრე მირიანიშვილი

---

გაზეთებშიაც მოუთავსებია განცხადება, რომ ვიწვევ ევას სამოთხეში დასასახლებლადაო. განცხადების დაბეჭდვა და უთვალავის წერილების მიღება ერთი იყო თურმე. შეერთებულ შტატების თითქმის ყველა კუთხიდგან მიუღია ადამს წერილები. ზოგს წერილს ასეთი ადრესი აწერია: „ბატონ ადამ დემერბს, სააქაო სამოთხეში, მონტანს“; ზოგს კიდევ ასე: „სააქაო სამოთხეში, ადამს ევასაგან“. ეს ევა სწერს თურმე: „ძვირფასო ადამ, გავიგე, რომ თქვენის სამოთხისათვის ევას დაეძებთ. მე სწორედ ევა მქვიან სახელად. თუმცა ბევრად თქვენზედ ახალგაზდა ვარ, მაგრამ იმედი მაქვს, ამას ყურადღებას არ მიაქცევთ და ევად მიმიწვევთ“.

დემერბს, სხვათა შორის, წერილი ერთ ზანგის ქალისაგანაც მიუღია. ეს ევა ეკითხება ადამს, შავ-კანიან ევას აქვს თუ არა უფლება სამოთხეში დასახლებისაო. მიუღია წერილი აგრეთვე 43 წლის ევასაგანაც. ამ ევას კიდევ წინ-და-წინვე პირობა დაუდვია, რომ ზამთარში ღამე გარედ ვერ დავიძინებო, როგორც ნამდვილი ევა იქცეოდა, რადგანაც გავცივდები და სურდო შემხვდებაო. ერთი ქვრივი კიდევ შეეკითხა თურმე, თქვენ სამოთხეში ტანთსაცმელი საჭირო იქმნება თუ არაო.

ადამ დემბერი ეხლა დღე-ღამეს ამ წერილების კითხვაში ატარებს. ჯერ კიდევ ყოყმანშია და ვერ გადაუწყვეტია, რომელი ევა აირჩიოს თავისს სამოთხეში დასასახლებლად.

ი. ა—ძე

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 აპრილი.

**მოსკოვი**. გუშინ დიდს თეატრში საქველ-მოქმედო წარმოდგენა იქმნა გამართული წითელის ჯვრის სასარგებლოდ. ამ წარმოდგენას კეთილ ინებეს და დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა და დიდნი მთავარნი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, ანდრია ვლადიმერის ძე და სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ. თეატრი სავსე იყო. დაესწრნენ აგრეთვე სეფე ქალნი, მინისტრები, ამალის წევრნი, მოსკოვის უმაღლესი საზოგადოება და სხვანი. მის უდიდებულესობას დედოფალს მიართვეს მშვენიერი თაიგული ყვავილებისა. პირველის მოქმედების შემდეგ საზოგადოების თხოვნით მუსიკამ და არტისტებმა სამჯერ შეასრულეს საერო გიმნი, რომლის შემდეგაც საზოგადოება „ურას“ გაიძახოდა.

**მოსკოვი**. დღეს, 13 აპრილს, მონაზონის ანასტასიას (მის იმპერატორებით უმაღლესობის დიდის მთავრინის ალექსანდრა პეტრეს ასულის) გარდაცვალების გამო კრემლის სასახლის ეკკლესიაში პანაშვიდი იქმნა გარდახდილი. დაესწრნენ იმპერატორი, იმპერატრიცა, დიდნი მთავარნი და სხვანი.

**მოსკოვი**. დღეს, 4 საათზედ, ხელმწიფე, დედოფალი და დიდნი მთავარნი ნოვოსპასის მონასტერში ბრძანდებოდნენ. მიეგება მათ უდიდებულესობას არქიმანდრიტი კლიმენტი. აუარებელმა ხალხმა გააცილა მათი უდიდებულესობანი.

**დევედსდორპი**. წუხელ ბურებმა აქაურ პოზიციებს თავი მიანებეს. რაიკოოპთან მომხდარ ბრძოლის შემდეგ ბლუმფონტეინიდგან მომავალმა გენ. ფრენჩმა გზა გადაუღობა ქალაქიდგან ჩრდილოეთისაკენ მიმავალ ბურებს, რომელთაც შემდეგ ჩრდილოეთ აღმოსავლეთისკენ დაიწიეს, ბურებს ბოტა და დევეტი უფროსობდა. ზარალი მეტად დიდი მოუვიდათ. არტილერია დაედევნა ბურებს. ფრენჩმა ახლო-მახლო ადგილებიდგან განდევნა მტერი.

**ლონდონი** „Daly Mail“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდგან 12 აპრილს: „კვირას, ღამე, ბურებმა განიზრახეს კომატისნორპტთან ხიდის დაქცევა. იმათ განზრახვას კაფრებმა შეუშალეს ხელი, რომელთაც ყვირილი ასტეხეს. ამის შემდეგ ბურებმა თავიანთი ჯარი გაამრავლეს საზღვარზედ.

**პრეტორია**. გუშინ აფეთქება მოხდა ბეგბის ქარხანაში, რომელიც ამ ბოლოს დროს თოფხანად იყო გარდაქცეული. შენობა სრულიად დაიქცა. მოკლულია 10 კაცი, დაჭრილი 32. ამათში უმრავლესობა ფრანგები და იტალიელები არიან. მიზეზი აფეთქებისა არ იციან.. ამასთან ახლო-მახლო სახლებს ცეცხლი წაეკიდა. ქუჩებში ბავშვების და დედაკაცების ყვირილი და კივილი ასტყდა.

**ლონდონი**. „Daily Mail“-ს კიმბერლეიდგან დეპეშით ატყობინებენ 12 აპრილს: „გუშინ ვინდზორტაუნთან ბურებმა ბანაკი გამართეს. მათი ჯარი მეამბოხეთაგან შესდგება. რაზმში 500 კაცია. Times“-ს ლორენცო-მარკეზიდგან ატყობინებენ: „სარწმუნოდ ამბობენ, რომ ბურების მთავრობა დიდ-ძალ სურსათსა და სხვა მასალას უყრის თავს ლიდენბურგის ოლქის საწყობებში. მართლდება ის ხმა, რომ ბურები უკანასკნელად ამ მთა-გორიან ოლქში აპირებენ გამაგრებას. ამასთან ბურები იოჰანესბურგსა და პრეტორიასაც ამაგრებენ.“ „Times“ ატყობინებენ 12 აპრილს, რომ ბურები აგპერენიდგან ლედი-ბრანდისაკენ მიდიანო. დალგეტს 33 კაცი მოუკლეს და 132 დაუჭრეს. ბურებს სამხედრო თათბირზედ ინგლისელების მიერ დანიშნულ ლანდროსტის ვანდერგევენისთვის სიკვდილი გადაუწყვეტიათ.

**კაპშტადტი**. ხმა დადის, რომ კაპის სამინისტროს შორის უთანხმოებააო. ამბობენ, რომ ორი მინისტრი რესპუბლიკების ინგლისთან შეერთების მომხრენი არიან, ხოლო ორი დიდი წინაამდეგია ამისაო.

14 აპრილი

**პეტერბურგი**. საერო განათლების მინისტრის ცირკულიარი: „შესაძლებლადა ვცნობ ნება დავრთო იმ ბავშვებს, რომელთაც ჰსურთ გიმნაზიებისა, პროგიმნაზიებისა და რიალურ სასწავლებლების მოსამზადებელ კლასში შესვლა, დაიჭირონ ეგზამენი აგვისტოს გარდა, მაისშიაც, იმ პირობით-კი, რომ მიღება და ჩარიცხვა სასწავლებელში იმ ბავშვებისა, რომელნიც კარგად დაიჭერენ ეგზამენს, წესისამებრ მოხდეს ხოლმე.“

**ლონდონი**. რობერტსი დეპეშით იუწყება დღეს: „გუშინ გენერალმა ბალმონტმა გასდევნა ბურები ძლიერის პოზიციიდგან ისრაელპორტთან. გენერლებმა ბიდლეიმა და სმიტდორიენმა ბურებს ზურგიდგან მოუარეს. ეხლა ეს გენერლები ტაბანგუზედ მიდიან. ჩვენი ზარალი მცირეა.“

**ვაშინგტონი**. ამერიკის რწმუნებულმა კონსტანტინეპოლში გადასცა 11 აპრილს პორტას ნოტა, რომელშიაც დაბეჯითებით თხოულობს ჯილდოს გადახდას.

**ნიცა**. დღეს გარდაიცვალა ქვრივი ჰერცოგინია საკსენ-კობურ-გოტისა.

**წმ. ელენეს კუნძული**. დღეს დილით მოიყვანეს აქ ახალი ტყვეები. საავადმყოფოში ამ ჟამად 20 ტყვეა, ამათგან 9 წითელათია ავად. ორშაბათს ორი გარდაიცვალა, რომელნიც სამშაბათს დაასაფლავეს.

**დევეტსდორპი**. გენერალმა პოლკერიუმ ბრძანება გასცა დაიჭირონ და მორეკონ რაც ახლო მახლო საქონელია.

**ლონდონი**. როდსკოპიდგან, რომელიც ბლუმფონტეინიდგან სამხრეთით 30 მილის სიშორეზედ მდებარეობს, გენერალი რენდლი იუწყება ჰელიოგრაფით, რომ მახლობლად მყოფი მტრის ჯარი სულ ცოტა 7,000 კაცისაგან შესდგებაო. ფერმერების წინაამდეგ, რომელნიც მხარს უჭერენ ბურებს, სასტიკი ზომები იქმნება მიღებულიო.

---

**წერილი რედაქციის მიმართ**

—

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი ბათუმის მცხოვრებს ივანე პეტრეს-ძე ჭავჭანიძეს, რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო წარმოდგენისთვის აქაურ სცენის მოყვარეთა თავისი შენობა და ყოველივე დახმარება აღმოუჩინა საქველ-მოქმედო საქმეში.

სცენის მოყვარეთაგანი ს. რაქდენიძე.

---

**სასამართლოს ცნობები.**

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი

18 აპრილი.

საქმე სოლომონ და ერმონია სიდამონიძეთა, რომელთაც კაცის მოკვლა ჰბრალდებათ.

ივანე ფეიქრიშვილისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1484 მუხ. მე-2 ნაწ. აღნიშნული ბრალი ედება.

ამბაკო ცაგარეიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ბრალი ედება.

იასე ციცკალაურისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1656 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

22 აპრილი

საქმე მღვდლის ელიშე გეგომიანცისა, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-190 და 194 მუხ. დანიშნული ბრალი ედება.

ქ. ტფილისის მე-9 ნაწილის პოლიციელის ჩაევსკისა, რომელსაც სამსახურის დროს ჩადენილი უკანონობანი ჰბრალდება.

დიოდიმე ჯინორიასი, დათა კორძახიასი და მარინე რუბენიასი, რომელთაც ფიცით ცრუ მოწმობა ჰბრალდებათ.

ივანე კოკაშვილისა, რომელსაც მამის მოკვლა ჰბრალდება.

ილია ბეჟანაშვილისა და ივანე წილაკაშვილისა, რომელთაც გაძარცვა ჰბრალდებათ.

---


# განცხადებანი




(50—267—26)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 19 აპრილს, შუადღის 12 საათზედ მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაცემულ იქმნება ქალაქის ქუჩების მოკირწყვლისა და შეკეთების საქმე: 1, 2, 3, ნაწილში, სულ 5000 ოთხ-კ. საჟენი; მე-4, 5 და 6 ნაწილში 2500 ოთხ-კ. საჟ.; მე-7 და 8 ნაწ.—2500 ოთხ-კ. საჟ.; და მე-9 და 10 ნაწ.—5000 ოთხ-კუთხი საჟ.

მსურველთ შეუძლიანთ გასინჯოთ პირობანი გამგეობის პირველ განყოფილებაში ყოველ-დღე, 9—3 საათ.

(3—6.—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 14-го Апрѣля 1900 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე